ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ

კვლევა მოიცავდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვას და მიზნად ისახავდა სოციალურ, ეკონომიკურ, და პოლიტიკურ ცხოვრებასა და მშვიდობის მშენებლობის პროცესებში ახალგაზრდების მონაწილეობის გამოცდილებისა და მონაწილეობისადმი დამოკიდებულებების შესწავლას.

მოსახლეობა: საქართველოს ზრდასრული ახალგაზრდა მოსახლეობა (18-დან 29 წლის ჩათვლით), ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის გარდა (სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი). მონაცემები არის არამარტო ქვეყნის მასშტაბით წარმომადგენლობითი, არამედ მისი განზოგადება შესაძლებელია თბილისის, სხვა ურბანული სტატუსის მქონე დასახლებების და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობაზე.

შერჩევის დიზაინი: სტრატიფიცირებული მრავალსაფეხურიანი კლასტერული შემთხვევითი შერჩევა.

შერჩევის ზომა: 1,116 რესპონდენტი

გამოპასუხების რაოდენობა: 31%

გამოკითხვის მეთოდი: პირისპირი გამოკითხვა კომპიუტერის მეშვეობით (CAPI).

ინტერვიუს ენები: ქართული, სომხური, და აზერბაიჯანული.

საველე სამუშაოების თარიღები: ივლისი 7, 2021 - აგვისტო 17, 2021.

შედეგები შეწონილია.